ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი № 1

ქალაქი ბათუმი 14.12.2020

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. **ნინო ინაიშვილი** - საზოგადოება „ბათომი"-ს დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელი;
2. **ნათია აფხაზავა** - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი;
3. **ლაშა ნაკაშიძე** - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP-GEF პროექტის „მწვანე ქალაქები: მდგრა- დი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის" ხელმძღვანელი;
4. **მაყვალა კვირიკაძე** - შპს „მაკო"-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
5. **თამაზ თურმანიძე** - შპს „რუსული რეგისტრი ვესტჯეორჯია"-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
6. **რამინ მაჭარაშვილი** - ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის" დამფუძნებელი, გამგეობის წევრი;
7. **დავით ქობულაძე** - შ.რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მედიცინის მე-5 კურსის სტუდენტი;
8. **ალექსანდრე შერვაშიძე** - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი;
9. **ციური ქათამაძე** - სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **მანუჩარ ლორია** - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მოადგილე;
11. **თამილა მეიშვილი** - დრამისა და კინოს მსახიობი;
12. **რუსუდან შავიშვილი** - აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი;
13. **თამარ გუდავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი;
14. **ირმა აფხაზავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსი.

სხდომას ესწრებოდა მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. ნათია აფხაზავა - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი; (ონ ლაინ)
2. მაყვალა კვირიკაძე - შპს „მაკო"-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. თამაზ თურმანიძე - შპს „რუსული რეგისტრი ვესტჯეორჯია"-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
4. რამინ მაჭარაშვილი - ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის" დამფუძნებელი, გამგეობის წევრი; (ონ ლაინ)
5. ალექსანდრე შერვაშიძე - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი;
6. ციური ქათამაძე - სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
7. მანუჩარ ლორია - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მოადგილე;
8. თამილა მეიშვილი - დრამისა და კინოს მსახიობი; (ონ ლაინ)
9. რუსუდან შავიშვილი - აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი;
10. თამარ გუდავა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი;
11. ირმა აფხაზავა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა:

აზრი გამოთქვეს:

თამაზ თურმანიძე - უპირველეს ყოვლისა მივესალმები მრჩეველთა საბჭოს წევრებს. როგორც ვიცით, დღეს უნდა ავირჩიოთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე. თავმჯდომარის პოზიციაზე მე ვაყენებ თამარ გუდავას კანდიდატურას. თამარი ამჟამად არის აჭარის განათლების. კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი. თამარს არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი აქვს ქალაქისთვის განხორციელებული. ის აქტიურადაა ჩართული ბათუმის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ვფიქრობ, შესაფერისი კანდიდატურა იქნება იმისთვის რომ უხელმძღვანელოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს.

რუსუდან შავიშვილი - თამარს მეც დიდი სანია ვიცნობ და ვემხრობი ბატონი თამაზის ინიციატივას, სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის პოზიციაზე წამოვაყენოთ თამარ გუდავას კანდიდატურა.

ნათია აფხაზავა - ჩემი აზრით უმჯობესი იქნებოდა, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის პოზიციაზე წამოგვეყენებინა კანდიდატურა არასაჯარო სექტორიდან, ამიტომ ჩემი კანდიდატურა იქნება რამინ მაჭარაშვილის კანდიდატურა.

რამინ მაჭარაშვილი - წინააღმდეგი არ ვარ დააყენონ ჩემი კანდიდატურა, ამ შემთხვევაში არ ვიცი როგორაა კანონმდებლობით, არის თუ არა შეზღუდვა საჯარო მოხელის კანდიდატად დაყენებაზე, ამიტომ მხარს დავუჭერ ნათიას წინადადებას, ჩემი კანდიდატურის წამოყენების თაობაზე.

ირმა აფხაზავა- მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა და დავეთანხმო ბატონი თამაზის წინადადებას, თამარ გუდავას თავმჯდომარის პოზიციაზე წამოყენების თაობაზე. თამართან ძალიან იოლია კომუნიკაცია რაც ძალიან სჭირდება ამ პოზიციას.

მაყვალა კვირიკაძე- მეც ვემხრობი თამარ გუდავას კანდიდატურის დაყენების საკითხს.

მანუჩარ ლორია - თამარ გუდავას ვიცნობ სტუდენტობის წლებიდან, როგორც აქტიურ და საქმიან ქალბატონს. ამიტომ მეც ვემხრობი ბატონი თამაზის წინადადებას რომ კანდიდატად დასახელდეს თამარ გუდავა.

თამილა მეიშვილი - მინდა მეც გამოვეხმაურო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის პოზიციაზე თამარ გუდავას კანდიდატურის დაყენების საკითს, დავეყრდნობი რა მის გაკეთებულ საქმეებს და ახლანდელ საქმიანობას.

თამაზ თურმანიძე - რადგან ხმათა უმრავლესობით მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატად შეირჩა ქ-ნო თამარ გუდავას კანდიდატურა. გთხოვთ ღია კენჭისყრით დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია და გავაკეთოთ არჩევანი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ დაადგინა

ხმათა უმრავლესობით: ცხრა მომხრე, ერთი წინააღმდეგი და ერთმა თავი შეიკავა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის პოზიციაზე აირჩიეს თამარ გუდავას კანდიდატურა.

შემდეგი შეხვედრა საბჭომ დაგეგმა 16 დეკემბერს, 15:00 საათზე.

მრჩეველთა საბჭოს კომისიის წევრები:

ნათია აფხაზავა (ონლაინ რეჟიმში)

მაყვალა კვირიკაძე

თამაზ თურმანიძე

რამინ მაჭარაშვილი (ონლაინ რეჟიმში)

ალექსანდრე შერვაშიძე

ციური ქათამაძე

მანუჩარ ლორია

თამილა მეიშვილი (ონლაინ რეჟიმში)

რუსუდან შავიშვილი

თამარ გუდავა

ირმა აფხაზავა